ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 4723332001**

თარიღი:**28/11/2023**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N11

დ. ჩოხატაური 22 ნოემბერი 2023 წელი

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე;

ესწრებოდნენ: მაია გიორგაძე, დავით ტყეშელიაძე, დავით გუდავაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე;

არ ესწრებოდნენ: ლაშა ირემაძე, მიხეილ თავართქილაძე, ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე, ბაჩო ახალაძე,

მოწვეული:

მაია გოგოლაძე - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

მარიტა მგალობლიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“**.**

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, დავით გუდავაძემ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი : მარიტა მგალობლიშვილი

I საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მოისმინეს:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა :</u>

<u>მარინე ბერაძემ</u> მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს გააჩნიათ შემდეგი შენიშვნები:

1.ქალთა ეკონომიკური გაძლიერების (05 05 02) თანხა გაიზარდოს 30 000 ლარამდე, აქედან 10 000 ლარი განისაზღვროს შშმ პირთა დედების მიერ წარმოდგენილი მცირე პროექტების დასაფინანსებლად. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 5 000 ლარი, მაგრამ პროგრამის საჭიროებიდან და ბენეფიციართა რაოდენობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ბიუჯეტში ცვლილება და ხარჯი შეადგენდა 9 000 ლარზე მეტს. შესაბამისად საჭიროა ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 10 000 ლარამდე.

2.ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი კონკურსის ჩასატარებლად 2024 წლის ბიუჯეტში

გათვალისწინებული უნდა იქნას 20 000 ლარი. კონკურსის აქტუალობიდან გამომდინარე და წარმოდგენილი ხარისხიანი პროექტებიდან გამომდინარე, რომელთა დაფინანსებაც ვერ მოხერხდა მცირე ბიუჯეტის გამო, დადგა საჭიროება, რომ კონკურსის ბიუჯეტი 2024 წელს გაიზარდოს 20 000 ლარამდე, მეწარმე ქალთა მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.

3.05 00 პროგრამული კოდის დასახელებებში ტექნიკური უზუსტობაა ყველგან დასათაურება უნდა იყოს ამ ფორმით: „კულტურა, რელიგია, გენდერული თანასაწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიის დასკვნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მიერ მერიაში გადაგზავნილ შენიშვნებში. (თან ერთვის)

II საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მოისმინეს:

2..ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> კომისიის თავმჯდომარემ გააცნო კომისიის წევრებს წარმოდგენილი დოკუმენტები საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია ბეგი მამალაძის მოღვაწეობის და დამსახურებების შესახებ.

განმარტა, რომ ვინაიდან ბეგი მამალაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, „მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან

არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „ბაზრის დაღმართის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ბეგი მამალაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს:

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი : მარიტა მგალობლიშვილი

<u>მომხსენებელმა მარიტა მგალობლიშვილმა განმარტა, რომ</u> რეგლამენტში ცვლილებების შეტანის მიზეზია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან გარკვეული მუხლების შეუსაბამობა და ტექნიკური ხარვეზები, ასევე საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმების არასრულყოფილი შინაარსი რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს ჩოხატაურის საკრებულოს რეგლამენტში არსებული საზედამხედველო მექანიზმების დახვეწას, პროცედურების დაზუსტებას, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ნორმების სრულყოფას, ახალი მექანიზმის დამატებას, რაც საბოლოო ჯამში გააძლიერებს საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციას.

რეგლამენტის პროექტი დგას ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილვების პროცესში ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციის საფუძველზე დარედაქტირდა პროეტი, გამარტივდა პირველი ვერსიით გათვალისწინებული საზედამხედველო მექანიზმები, კერძოდ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თემატური მომხსენებლის ინსტიტუტისა და კონტროლი მერიის სამართლებრივ აქტებზე ამ დროისთვის პროექტში აღარ იქნეს შეტანილი.

გარდა ამისა უმჯობესია დავარედაქტიროთ და ამოღებულ იქნეს მე-15 მუხლის მე-4 პუნქტიდან შემდეგი ჩანაწერი: ,,საპატიო მიზეზით ბიუროს სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს კომისიის უხუცესმა წევრმა, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე – მისმა მოადგილემ სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.“

გარდა ამისა რედაქტირებულ ვერსიაში შესულია გარკვეული სახის ტექნიკური ცვლილებები და მოყვანილია კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ამ ეტაპზე დასაზუსტებელია რამდენიმე დეტალი და საკითხის საბოლოო ვერსიაა შესამუშავებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთავაზობთ, რომ ამ ეტაპზე საკითხი არ გადაეცეს ბიუროს საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად და გაგრძელდეს პროექტზე მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა საკითხი არ გადაეცეს ბიუროს საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად და გაგრძელდეს პროექტზე მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი